N 218 18/06/2019

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, ვლადიმერ ნანაძის 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

წინამდებარე ანგარიში შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექის 88-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად და იგი მოიცავს პერიოდს 2018 წლის 27 ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. წარმოდგენილი ანგარიში რიგითია. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს 24 და ბიუროს 13 სხდომა, ვესწრებოდი ყველა სხდომას. როგორც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარის არყოფნის დროს ვასრულებდი მის მოვალეობას. კერძოდ: საკრებულოს 2 და ბიუროს 1 სხდომას ვთავმჯდომარეობდი. ასევე, ვაწყობდი ბიუროს წევრებთან თათბირებს და ვხდებოდი მოსახლეობას. გარდა ამისა, მინდა აღვნიშნო ჩემი მონაწილეობა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-სთვის სხდომებში. 13 სხდომიდან ვესწრებოდი 11 სხდომას.

ასევე, როგორც საკრებულოს წევრი, ყურადღებას ვუთმობ მოქალაქეთა მიღებას და მათი პრობლემატური საკითხების შესწავლას, რომლებიც ძირითადად შეეხებოდა ჯანდაცვას, ინფრასტრუქტურას და სოციალურ თემებს.

ჩემს მიერ საკრებულოს ბიუროს სხდომებზე დაყენებული იქნა შემდეგი საკითხები. კერძოდ:

- ✓ ქალაქის ტერიტორიაზე ორი სანიაღვრე არხის გაწმენდის საჭიროება.
- ✓ ქალაქის ცენტრში ამკრძალავი ნიშნების არსებობის მიუხედავად სატვირთო მანქანების დაუმორჩილებლობის გამო დავაყენე საკითხი მეტად გაკონტროლებულიყო უსაფრთხოების ზომები.
- ✓ მაწანწალა ძაღლების ქალაქის ტერიტორიიდან გაყვანის საჭიროება.
- ✓ ქალაქის ტერიტორიაზე საპირფარეშოს მოწყობის აუცილებლობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში განხორციელდა სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის სახლის სახურავის უზრუნველყოფა საჭირო სამშენებლო მასალით. ასევე, გადახურული იქნა დაზარალებულ მოსახლეთა საცხოვრებელი სახლები. კერძოდ:

- ✓ 2017 წლის 15-16 ოქტომბრის სტიქიის შედეგად დაზარალებულ 7 მოსახლეს გაეწია სახლის სახურავის უზრუნველყოფა საჭირო სამშენებლო მასალით;
- ✓ 2018 წლის 30 ნოემბრის სტიქიის შედეგად დაზარალებულ 48 მოსახლეს გაეწია სახლის სახურავის უზრუნველყოფა საჭირო სამშენებლო მასალით;

- ✓ 2018 წლის მარტის სტიქიის შედეგად დაზარალებულ 12 მოსახლეს გაეწია სახლის სახურავის უზრუნველყოფა საჭირო სამშენებლო მასალით;
- ✓ 2018 წლის 2 აპრილის სტიქიის შედეგად დაზარალებულ 5 მოსახლეს გაეწია სახლის სახურავის უზრუნველყოფა საჭირო სამშენებლო მასალით;
- ✓ 2018 წლის 30 ნოემბრის სტიქიის შედეგად 9 დაზარალებულ მოსახლეს გადაუხურეს საცხოვრებელი სახლი.

ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა შემდეგი სახის ინფრასტრუქტურული პროექტები. კერძოდ:

- ✓ გელა ღონღაძის ეზოსთან მდინარე ორაგვისღელეზე ყორე ქვის გაბიონის მოწყობა.
- ✓ კვირკველიას ქუჩაზე მიმდებარედ საცხოვრებელი სახლის უკან მდებარე ღელის კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოები.
- ✓ ცაბაძის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობა.
- ✓ ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა გზების აღდგენა/რეაბილიტაცია.
- ✓ მდინარე ლაშისღელეზე ურუშაძის ქუჩის მიმდებარედ ორ ადგილზე 30+20=50 გრძ/მ მდინარის ნაპირსამაგრის მოწყობა.
- ✓ ქალაქის მაჩხვარეთთან დამაკავშირებელ გზაზე ყორე ქვის გაბიონის მოწყობა.
- ✓ ლაშისღელეში ქუჩებზე სანიაღვრე არხების მოწყობა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის შესაბამისად ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში მედიკამენტებზე შეძენის პროგრამით ისარგებლა 82 ბენეფიციარმა, ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამით 7 ბენეფიციარმა, მრავალშვილიან ოჯახთა პროგრამით ისარგებლა 8 ბენეფიციარმა, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრის უზრუნველყოფის პროგრამით (ქირავნობით)- 25 ბენეფიციარმა.

მინდა მადლობა გადავუხადო საკრებულოს ყველა წევრს აქტიური თანამშრომლობისათვის და ასევე, საკრებულოს აპარატს. მე, როგორც საკრებულოს წევრი და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, გავაგრძელებ აქტიურ მუშაობას, როგორც საკრებულოში, ასევე ამომრჩევლებთან.

ვლადიმერ ნანაძე

სხდომის თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო